ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3251064

ნომერი: AR1492981

თარიღი : 04.04.2017

გაცემის თარიღი : 10.05.2017

გაცნობის თარიღი : 10.05.2017

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

რუსთაველის 36;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა პაპასკირი პ/ნ 62004006575
- გულრიფში დ. აგუძერა 300

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 04.04.2017 წ. AR1492981 განცხადება, განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზ. N38 მიმდებარედ (N 01.15.05.009.026) არსებულ ტერიტორიაზე, ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ, ვინაიდან თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ თვითმმართველი ერთეულის (სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან) შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ 2 (ორი) თვის განმავლობაში თქვენ მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია; მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტისშესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზ. N38 მიმდებარედ (N 01.15.05.009.026), არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ დროებითი ღია სეზონური კაფეს განთავსების მიზნით 2017 წლის 11 ივლისამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.